



0888861 1457801

შინაური საქმეები.

№ 42.

შოთაშვილი-კვიციანი ბაზეთი

ფასი ერთი შაური

ფლიური ფასი 4 მან.

წელიწადი მეხუთე.

კვირა, 2 დეკემბერი 1912 წელი

ყოველ-კვირივად გზეთ

შინაური საქმეები

სხვის მარჯვნივ მადიდებ (რე-
დაქცობა, ქ ქრისტიან ს-
თუთიადლო-კაზაკების შე-
სიხვეუ № 17). და თიადისი. კამბაქმულითან სიამისი ბაზრობი, სიამისანისეს შეუსს
მდაზაზა. გამოვე ყოველ თვეში ოთხი ნომერი.

გაზეთის ფასი: 4 მანეთი.

წას. წლათ: 2 მანეთი.

საშ. ფლათ: 1 მანეთი.

ქრთა თეთა: 2 აბაზი.

ფლათი უმბოტა წლათო ზღის მომუშაობის შემთხვევაში განაწილდეს: თიადისი 2 მ. და 1 თვისი 2 მ.
განცხადების ფასი წინა გვერდზე პეტრე სტოკინი ორი შაური, უნაქმელზე 7 კ.
ფასი: ქრისტიან: "მანკურა საქმეებს" რუკაქცა.

შინაარსი: 1. საეკლესიო წიგნთსაცავები მღ. ს. პაქ-
რაშვილისა; 2. სიტყვა 10 გიორგობისთვის—დღკ. კ-
ცინცაქესი; 3. საზარებლად მომზადება—მღ. იოანე
ლუციანოვისა; 4. სამძიზარი—გ. ბოკერიასი; 5. წაჯექ-
უკუჯექობა—ხელისა; 6. კვირიდან-კვირამდე; 7. ჩვენი
დანაშაურობა—მღ. 5. დევიძისა; 8. კრიტიკული
შენიშვნები—ბომლელის; 9. გურია-სამეგრელოს სან-
თლის ქარხნის შესახებ—იმერელი გლეხისა; 10. მოწე-
რილი ამბები—სამეგრელოს სამღვდ. დემეტრეტა კრებ-
ყ.-სა; 11. წერილები რედაქციის მიმართ—მ. ი. ხო-
ჯავასი და დღკ. ე. ვეფხვაქესი.

საეკლესიო წიგნთსაცავები.

ეკლესიათაის ცხადია, რომ დღეს ჩვენს
ეკლესიებში, საერთოდ რომ ესთქვათ, საღვთის-
შეტყველო და სარწმუნოებრივ-წინებრივ ში-
ნაარსის წიგნები არ მოიპოვება, რაც დიდად
საგრძობელ და საზარალო გარემოებას წარ-
მოადგენს, როგორც სამღვდლოებისათვის, ისე
ჩვენი ხალხისათვისაც, ამისათვის საჭიროა ამ
მივიწყებულს საგანს ყურადღება მივაქციოთ
და თითოეულ ეკლესიასთან საეკლესიო წიგნთ-
საცავი გავხსნათ. საეკლესიო წიგნთსაცავები, თა-
ვისი დანიშნულებისამებრ, დაეხმარებიან მორ-
წმუნეთა სულიერი განათლების და აღზრდის
ღირს საქმეს, კერძოდ—ქი, რამდენადაც შესა-
ძლებელი იქნება, დააკმაყოფილებენ სულიერ-
თა საჭიროებათა და მოთხოვნათა რომელიმე
გორც სამღვდლოებისა, ისე მოსახლეობისათ-
ვის. მოძღვარი, რომელიც მოწოდებულია ხა-
ვისი მოძღვრული განმანათლებელი მოღვაწეო-

საქ. სსრ
საქ. სსრ
საქ. სსრ

ბით სულიერად და ზნეობრივად აღამაღლოს ხალხი, პირველად თვითონ უნდა გრძობდეს საერთოთ საღვთისმეტყველო და საეკლესიო ხასიათის წიგნების საჭიროებას, ვინაიდან ხსენებული წიგნების კითხვით მას შეძლება მიეცემა თავისი ცოდნა შეავსოს, თავისი თავი განავითაროს და ჯეროვნად შემზადებული უფრო საიმედოდ და წესიერად ემსახუროს თავის დიად მოძღვრულ საქმეს.

უბრალო ხალხისათვის საეკლესიო წიგნთსაცავები ხომ თვით საიმედო სულიერ საუნჯეს წარმოადგენენ. ხალხს უყვარს სასულიერო შინაარსის წიგნების კითხვა. ვინ არ იცის, თუ როგორი სასიკეთო კითხვობებს ხალხი მიეცემა წმინდანების ცხოვრებას! ვის უნდა მიმართოს მან ასეთი საკითხავი წიგნებისათვის, თუ არა თავის დედა ეკლესიას? აქ იგი იმოდღვრება ღვთისმსახურებით და მოძღვრული ქადაგებებით, აქიდანვე უნდა ღებულობდეს იგი სხვადასხვა საკითხავ სასულიერო წიგნებს თავისი თავის სულიერად განავითარებლად და ასამაღლებლად. საეკლესიო წიგნთსაცავებიდან წაღებული წიგნები დაახლოვებს მას ეკლესიასთან და მიჩვევს მას უფრო მეტი სასიკეთო მოკიდდის საეკლესიო ღვთისმსახურებათა. ეკლესიიდანვე წაღებულ წიგნს ხალხის თვალში ყოველთვის მეტი მნიშვნელობა ექნება, ვიდრე სასულიერო შინაარსისავე წიგნს, მაგრამ მის ხელში ჩავარდნილ ვინმე კერძო პირისაგან. წიგნების მიწოდებით საეკლესიო წიგნთსაცავები ხალხს იმ დიდა ამაგსაც გაუწევდნენ, რომ ხალხი აღარ მიეტანებოდა სხვადასხვა უსარგებლო და ხანდახან პირდაპირ სახარალო და უმნიშვნელო წიგნების კითხვასაც.

კარგი მოწყობილი საეკლესიო წიგნთსაცავები ქალაქებში დიდ სარგებლობას აღმოუჩენდნენ განათლებულ პირთაც, ვინაიდან ივინი გაეცნობოდნენ სასულიერო მწერლობას მათ მიერ დღემდის თითქმის გაუცნობელს და თავისი ცოდნის შეფასებით სარწმუნოებაზე, ეკლესიაზე და ქრისტიანულ ზნეობაზე გამოიცნობდნენ და განმარტავდნენ თავის სარწმუნოებრივ ექვეებს და შეცთომებს.

უწმიდესის სინოდის მიერ ნებადართულია წიგნების შექმნა საეკლესიო წიგნთსაცავებისათვის ეკლესიისავე საშუალებით. მხოლოდ საჭიროა ამ საქმეს თანაუგრძობონ და რამდენადაც შეიძლება მის განხორციელებას ხელი შეუწყონ ეკლესიის მნათებმა, რომელთაც, სამღვდლოებამ უნდა ჩააგონოს, რომ საეკლესიო წიგნთსაცავები საჭირონი არიან საღვდლოებისა და ხალხის სულიერთა საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, და მნათებმა, როგორც ხალხის ვეჭილგებმა, უნდა იზრუნონ არა მარტო ეკლესიის ნიუთიერი წარმატებისათვის, არამედ ხალხის სულიერი ამაღლებისათვისაც. წიგნთსაცავების მოწყობის საქმეში დიდი მნიშვნელობა ექნება აგრეთვე კერძო პირთაგან შეწირულებასაც. ის მაღლიანი პირები, რომლებიც ეკლესიის გამშვენებისათვის თავის საშუალებას არ ზოგვევენ, არც საეკლესიო წიგნთსაცავების დასაარსებლად დაზოგავენ თავის წვლილს. ამ საქმის მოწყობა საშენლო არ იქნება, მხოლოდ სამღვდლოება უნდა ვეცადოთ, რომ შესაფერი წიგნები მოვეზოვოთ ეკლესიებს, მოქმედით მათი შესანიხი შესაფერი ადგილი ეკლესიაში და წიგნები დაუზარებლად მივაწოდოთ ხოლომე ხალხს. ამ საქმეს უნდა დაეხმაროს აგრეთვე იმერეთ. წმ. გიორგის სარწმ. გან. „ძობაც“. შესაფერი სასულიერო და ზნეობრივ შინაარსის წიგნების გამოცემით. რასაკვირველია, პირველად ეს საქმე მკირე იქნება, მაგრამ იმეღა თანდათან გაფართოვდება და უკეთესადაც წავა. თუმცა ასეთი წიგნთსაცავები საჭირონი არიან როგორც სამრევლო, ესე იგი თითოეულ ეკლესიასთან, აგრეთვე საბლოლოჩინო და სეპარტიოც, — სამრევლო უფრო ხალხისათვის, საბლოლოჩინო და სეპარტიო-კი უფრო სამღვდლოებისათვის და აგრეთვე განათლებული საზოგადოებისათვისაც, მაგრამ განსაკუთრებით ჩქარა უნდა შევეცადოთ სამრევლო, ე. ი. თითოეულ ეკლესიასთან, წიგნთსაცავების გახსნას, რომლებითაც ისარგებლებს პირველ ხანებში როგორც ხალხი, ისე სამღვდლოებაც. საჭიროა ამ საგნის შესახებ მსჯელობა იქონიოს სამღვდლოებამ საბლოლო-

ჩინო და საპარკიო კრებებზე, რათა ერთს ვარკვეულ ვხას დაადგეს იგი ამ საქმის საზოგადოდ წესიერად და რიგიანად წაყენისათვის.

მლ. სერგი მაკარაშვილი.

სიტყვა,

თქმული 1912 წელსა გიორგიანისთვის
10 ქვაყეთის წმ. გიორგის ტაძარში.

წმიდაო მთავარ-მოწამეო
და ღვაწლით შემოსილო გიორგი,
ვედრე დმურთსა ჩვენთვის.

წმ. მთავარ-მოწამე გიორგი. რომლის სალოცავ-სადიდებლად ჩვენ შეგვკრებილვართ დღეს აქა, იწოდება წმ. ეკლესიის მიერ ტყვეთა-განათავისუფლებლად და გლახაკთა-ხელის აღმკარებლად, სწულთა მკურნალად და მეფეთა უძღველად წინამძობლად, ე. ი. აღამიანთა საკვირველ-მოქმედ შემწედ და მეოხად. ამითი აიხსნება ის განუზომელი პატივისცემა და შეურყეველი სსოება, რომლითაც განსქავლული იყო ჩვენი ერო წმ. გიორგისადმი. ჰირსა და ლხინში იგი იხსენიებდა წმიდა-გიორგის, თითქმის ყოველ ოჯახის თითო-წევრს მის სახელს უწოდებდა, ყოველს მთასა და ბორცვზედ მის სახელზედ აშენებდა, ტაძარს თუ არა, ნიშნ მანტა...

დღეს კი ამას ვერა ვხედავთ ჰირსა და განსაკუთრებით ლხინში ნაკლებად ვგავონდება წმ. მთავარ-მოწამე, ახალი ტაძრების აშენების მაგიერ, ხშირად ძველებს ვანგრეთ, ნიშებსა და ხატებს გამაშვენების მაგიერ-ფიარკვავთ და ვნადგურებთ, ხოლო სარწმუნოებასა და სსოებაზედ თითქოს ხელიც აგველოს.

ამის შემხედვარე ზოგიერთი ქრისტიანენი ძველს დროს იგონებენ და გულმტკივნეულად ამბობენ: ურწმუნოება გამრავლდა მისთვის, რომ დღეს ვეღარ ვხედავთ საკვირველებათა და სასწაულოთა, ახლანდელს თაობას, რომ საკუთარის თვლით ენახა რაიმე სასწაული, უეცველად ღვთის მოსავი და მორწმუნე იქმნებო-

დაო. ასე მსჯელობენ მრავალნი და დარწმუნებულნიც არიან, რომ ჰირი მათი იტყვის ჭეშმარიტებასა..

მართლმად, რატომ ვერა ვხედავთ ჩვენს დროში სასწაულებსა? იქმნება სასწაულების ძალით ურწმუნოება მართლმადც მოისპოს? ამ საკითხის პასუხად უნდა მოვიგონოთ, რომ სასწაული ღვთის წყალობა მორწმუნეთა მიმართ და ასეთი სასწაული ქრისტიანეთა შორის ბევრი მომხდარა და მოხდება კიდევ, მაგრამ ურწმუნო აღამიანისათვის მათ სარწმუნოება არ მოუნიჭებიათ. ამ აზრის დასასურათებლად მოვიგონოთ ერთი ამბავი, რომელიც ყველასათვის თვალსაჩინოა, — სახელდობრ ქრისტეს სჯულის გავრცელება. ვინ გავრცელო ეს სჯული, საითვან, ან ვინ იყენნ მისი მქადაგებელი? ისინი იყენნ არა განთქმულნი მენიერნი, არა გამოჩენილნი მკერ-მეტყველნი, არამედ უბრალო ურიანი, დატაკნი მეთევზურნი, მკვიდრნი ყველასაგან სისცილოდ აღებულის გალილეასნი. მათ ჰქადაგეს სახარება ქრისტესი, ურიითვან აღსარებელი **სალორად**, ხოლო წარმართთაგან **სისულელედ** (1 კორ. 1, 23) და ამ სახარების ქადაგებისათვის განიცადეს ცემა და გვემა, ტანვევა და სიკვდილი. მერმე რით ვათავდა ყოველივე ეს? ვათავდა მით, რომ ურიათა და წარმართთა ათი-ათასობით მიიღეს ქრისტეს სჯული და სამი საუკუნის შემდეგ წარმართული მსოფლიო-მხედველობა შეიცვალა ქრისტიანულად. ამა გვიჩვენოს ვინმე რაიმე მსგავსი ამის კაცთა სწავლის გავრცელების ისტორიაში? სწორედ ამ ისტორიითვან ვიცით, რომ თუცა კაცობრიობამ წარმოშობა უზრავლესთაგან უმრავლესნი მსწავლულნი და მენიერნი, მაგრამ ერთის მოძღვრება ხშირად უარ-ყოფდა მეორისას, ასე რომ არც ერთს მოძღვრებას არ გადუღობავს საზღვარი ორისა მან სამი საუკუნისა. მაშინ როცა ქრისტეს მოძღვრება სდგას შეურყეველად და ბრწყინვალედ ანათებს აქამომდე. **ჭეშმარიტად, საკვირველ არიან საქმენი შენნი, უფალო!**

მაგრამ არამც თუ გავრცელება ქრისტეს მოძღვრებისა, არამედ თვით მისი არსებობაც

კი სასწაულია. თანახმად წინასწარმეტყველებისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა, მისს მოძღვრებას წინააღმდეგ თვით ჯოჯოხეთი და ყოველივე ძალი და ღონე იხმარა მის წინააღმდეგ. ძალმომრეობა და ორგულობა, დევნა და მწვალებლობა ხმარებულ იქნა ჯოჯოხეთის მიერ ქრისტეს მოძღვრებასთან ბრძოლის დროს, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გასჭრა: რამდენადაც განაძლიერეს დევნა ქრისტეს სჯულისა, იმოდენად უფრო განმტკიცდა და ამაღლდა იგი, ამ უმაჯალითო ბრძოლითვან ქრისტეს მოძღვრება გამოვიდა გამარჯვებული. განა ეს გამარჯვება მომასწავებელი არ არის იმისი, რომ ქრისტეს მოძღვრება მონიჭებულია ზეით ღვთის მიერ? გარნა ურწმუნოთა ეს ვერ შეიგნეს და განაგრძობენ ამ ღვთიურ მოძღვრებასთან უნაყოფოდ ბრძოლას! გარდა ამისა, განა თვით ამ სარწმუნოების შემცირების დროს ცოტა სასწაულები მოხდებოდა ხოლმე? განა თვითო-უფლის ჩვენისა არ მიუღია შემწეობა ზეციერის მამისაგან სწორედ მაშინ, როცა საშველი არსაითვან არ ყოფილა მოსალოდნელი? განა იშვიათად მოხდარა, რომ ექიმთა მიერ განუკურნებლად მიჩნულ სენს დაუნებებია ავადმყოფისათვის თავი სწორედ ამა თუ იმ წმიდანის ან ხატის მოლოცვის შემდეგ? უფლის სიტყვა: **მე თქვენთანა ვარ უკუნისამდე** (მატ. 28, 20) არ დაუარღებს და სწორედ ამის გამო ეხლაც ბერი მიიღებს ღვთისაგან სასწაულებრივ შემწეობას, მაგრამ ურწმუნოება რის ურწმუნოება არის, თუ ყოველივე ღვთაებრივი და სასწაულებრივი არ უარყო?! საუცხოვო მაგალითის სასწაულთა უარყოფისას წარმოადგენს დრო ქვეყნად უფლის იესო ქრისტეს ცხოვრებისა. თუმცა უფალი იქმოდა მრავალთა სასწაულთა და საკვირველბათა მაგრამ იმ დროის ურწმუნოანი-ფარისევდნი და მწიგნობარნი მაინც **სასწაულსა იხოვდენ** უფლისაგან ზეით (მარ. 8, 11) და თუმცა ეს სასწაულიც მიიღეს, ქრისტეს ჯვარცმას შემდეგ, **ოდეს ბნელ იყო ყოველსა ქვეყანასა და დაბნელდა მზე** (ლუკ. 23, 41-45), მაგრამ მაინც არ დაქაყოფილდნენ... უფალმა

სხვა უმეტესი სასწაულიც უჩვენა: **ჯვარცმისა და სიკვდილის მესამე დღეს შემდეგ დაბრუნებისა და დაკულის საფლავითვან აღსდგა მკვდრებით და მით ცხადყო თავისი ღვთაებრივობა, მაგრამ ურწმუნოებამ თავი აქაც იჩინა: მკვლანი მოისყიდეს და ათქმეინეს ყოვლად უმსგავსო სიტყუე: **მოწაფენი მისნი ღამე მოვიდენ და წარიბარეს იგი ვიდრე ჩვენ გვეძინათ** (მატ 28, 13). მკვლემს ეძინათ, მაგრამ მზარაენი კი დაინახეს, მზარაეთ ხმა არ გასცეს და ამისათვის ვერცხლი მიიღეს ჯილდოდ! განა შეიძლება ხნობრივად ამაზედ უფრო დაცემა!? სჩანს, სასწაულები ვერას ასწავლიან მათ, ვისიც გული ცოვია ქეშმარიტებისათვის! გულციეთ კი ქრისტეს მოძღვარება მით უფრო არ ესიამოუნებათ, რომ იგი ქადაგებს აღვირსებებს ბოროტთა გულის თქმათა და ჩვეულებათა, ეს კი აიწროებს მათ პირუტყულ და განუსაზღვრელს თავმოყვარებას და თავისუფლებას. ხოლო ვინც ამ რიგად არის განწყობილი ქრისტეს სჯულისა და მოძღვრებისათვის, მისთვის სასწაულები ისეა უმნიშვნელო, როგორც ევევბიტელებისათვის მოსე წინასწარმეტყველის დროს და ფარისევლებისათვის უფლის ქვეყნად ცხოვრების დროსა...**

მაშ, ნუ გაიკვირებთ, საყვარელნო, თუ ჩვენს დროში იშვიათად ვეღირსებთ ხოლმე სასწაულსა, ნუ დაივიწყებთ, რომ სასწაულს აღვილი არა აქვს იქა, სადაც ღვთის მოწყალეობის მისილბდა წიადაგი არ არის მომზადებული, ამიტომაც თუ ვესულნი უფალმა გავცხადოს ღირსად სასწაულისა. უნდა განვიწმიდოთ გულნი ჩვენნი ყოველისაგან ბიწისა; განვაწყობოთ ფერხნი ჩვენნი სლვად გზას სიმართლისასა, ხოლო ხელნი ჩვენნი ქნად კეთილისა. ამინ.

დღ. კ. ცინცაძე.

საზიარებლად მოგზავლება.

კვდებოდა მამა... მის სარეცელფან იდგა შვილი — ვარწარო, ქარაფშუთა ემაწვილი-კაცი. მამა ღიღ-ხანს სცილილობდა მის მოკვიანებას, მაგრამ ამოღ: არც რჩევა, არც ხვეწნა

არც დარიგება არ მოქმედობდნენ ყმაწვილზე. შვილი დღე და ღამე დაკარგული იყო, ღუპავდა ქეიფში თავის ჯანმრთელობას და ნიქს. მამამ იდარდა ეს, ავად გახდა და ეხლა ელოდა თავის სიცოცხლის აღსასრულს.

— ჩემო საწყალო შვილო,— ეუბნებოდა მომაკვდავი მამა შვილს.— მე სიცოცხლე-კი არ შენანება, შენანები შენ. ერთად-ერთი მყავხარ შენ მე. გულით მიწოდდა ჩამენერგა შენთვის ყოველივე კეთილი, წმინდა; აღმეზარდნე ერთ-გული მუშაკი ღვთისა და ხალხისა; ეხლა-კი ძალიან მემძიმება, რომ ჩემმა, ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. მე არ ვაყვედრი შენ, არა გთხოვ ფიცს, რომ გასწორდები; გთხოვ მხოლოდ ერთს: პირობა მომეცი, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ, ერთი კვირის განმავლობაში, ყოველ დღეს ორ-სამ საათს მოხვალ და გაატარებ იმ ოთახში, რომელშიაც მე ეხლა ვკვდები.

გაუკვირდა შვილს ასეთი ხეყვნა მამისა; მაგრამ, რომ რითიმე ენუგეშებია მამა, რომელსაც ამოდენა მწუხარება აგრძნობინა, დასთანხმდა მას.

გარდაიცვალა მამა. დამარხეს. მოვიდა შვილი მამის ოთახში. ცალიერია,— არავინ არის შიგ. აღარ ისმის იქ თავის მომაბეზრებელი საყვედური. სრული თავისუფლებაა; იცხოვრე, როგორც გინდა.

აგონდება შვილს მამის დარიგება, მისი სევდიანი თვალები, მწუხარებით აღსაყეს ხმა.

„უყუყვარდი მამა ჩემს,— ფიქრობს შვილი; — მართლა უნდოდა, რომ მე კეთილი, პატიოსანი, ფხიზელი კაცი გამოვსულიყავი. დიდიხანა დაქვრივდა და მთელი თავისი სიყვარული მე მომანხარა. როგორ ნახად მიაღერებდა მე ის ყოველთვის, როგორ გულიანად მელაპარაკებოდა მე ის ღმერთზე, სიმართლეზე, კეთილ ცხოვრებაზე, როგორ უხაროდა იმას თითუელი ჩემი კეთილი საქმე, განივრული აზრი; მე-კი რითი გადაეუხადე მას?!“

გადიოდა წუთი წუთზე, და შვილის ხსოვნაში თანდათან მოდიოდა სხვა და სხვა სურათები თავის გარყენილობისა. რა ცუდია:

რა სირცხვილია! უნდოდა დაევიწყნა, ეფიქრა რომ ეს არ მომხდარა.

გავიდა დაპირებული სამი საათი; შვილი მაინც კიდევ იჯდა იქ, და თავი დაბლა დაეხარა, თვალზეზე ცრემლები ცოცნიებდნენ. ამ დღეს ის აღარ წასულა თავის ჩვეულებრივ მეგობრებთან.

მეორე დღე მესამე დღეს შევიდა კიდევ მამის ოთახში. უფრო ნათლად წარმოუდგა სახე მამისა, ცოცხლად იგრძნო სიმწარე საყვედურისა, საზოგადოებრივად თავისი წარსული ცხოვრება. წინათ არ ჩაფიქრებულა თავის თავზედ უბედური ქაბუკი. არასოდეს არ ჩაუხედინა თავის სენინისა; გულიც დამშვიდებული ჰქონდა. ეხლა გარს მიმოიხედა, გულმოდგინედ; და შეეშინდა: ნუ თუ ეს ის კარგი საყვარელი ბიჭია, რომელიც ბავშობაში იყო? რა დამპართია მას? გაფუჭებულია, გაველურებულია, დაცემულია. საჭიროა გამოსვლა ტალახიდან, მანამ სრულიად არ ჩანთქმულია.

მამამ იცოდა, რას აკეთებდა, როდესაც სთხოვა შვილს კვირის განმავლობაში ორი საათი საათი გაეტარებია მარტობაში. შვილი ამ ხანში თითქოს გამოფხიზლდა დიდი ხნის სიმთვრალის შემდეგ. მიხვდა, დაიწყა თავის თავზე მუშაობა, შეუდგა ცხოვრების სხვა გზას.

იცის აგრეთვე ჩვენმა დედამ— მართლმადიდებელმა ეკლესიამ,— რას აკეთებს, როდესაც გვინიშნავს ჩვენ დროს საზიარებლად მომზადებისათვის. ჩვენი ცხოვრება, როგორც მორვეი, ვეატრიალებს და ვეპაროწიალებს ჩვენ. სხვადასხვა საქმეებში, მზრუნველობაში ვართულებს აღარ-კი გვეცალიან ვიფიქროთ: რას წარმოვადგენთ ჩვენ? რათა ვართ ვაჩენილები, რათა ვცხოვრობთ? როგორ ვაგვაყვს ჩვენი სიცოცხლე? ვიქცევით ისე, როგორც უნდა ვიქცოდეთ, თუ არა? ცხოვრება მივგაქანებს ჩვენ, როგორც წყალი ნაფოტს, „სად არის ნამდვილი გზა? საით უნდა წავიდეთ? ვინ ვფიქრობს ამაზე? დედა-ეკლესია ამიტომ გვთხოვს: „დადექი, ვაჩერდი! დასტოვე წელიწადში თუნდა ერთი კვირა მაინც ცხოვრების ერთმდელი

და დაუფიქრდა შენს თავს. მიეცი შენს თავს ანგარიში შენს აზრებში, გრძნობებში და საქმეებში. ყოველ საქმეს ანგარიშს უკეთებენ წლით. გააკეთე შენც ანგარიში: მოგემატა თუ მოგაკლდა, შენ წელიწადში ღვთის სიბარბოლეს!

თვითვეული ჩვენგანი განიცდის ცხოვრებას ერთხელ, და ამიტომ ცხოვრების გზა ჩვენთვის თითქმის წაგაგეს გზას უცნობ ქვეყანაში საქირაა დრო გამოშვებით გაგჩერდეთ და მიმოიხივდეთ, ხომ არ ავცდით ჩვენ ნამდვილ გზას, საქირაა დავისვენათ ხოლმე, შემოვიკრიბოთ ახალი ძალები და შემდეგ გავუღებთ კიდევ გზას. ასეთ დასვენებათ ჩვენი სულისათვის არის დრო ზიარებისათვის მომზადებისა. დედა-ეკლესია ამიტომ გულს-მოღვინეთ მოგვიწოდს ამაზედ ყველას ჩვენ.

ძველ აღთქმაში მოსეს რჯულში ნათქვამი იყო: „ექვსი დღე კვირაში აკეთე შენი საქმეები, მოაწყვე შენი კეთილდობა, ხოლო მეშვიდე დღე შესწირე, მიეცი ღმერთსა. ემსახურე ქვეყნად ღვთის საქმეს.“ აქ აწის აღნიშნული არა უმაღლესი, არამედ თვით უსუბუქესი მოთხოვნა. „თუ თქვენ ისე გაქსუვებულეხი ხართ, — ეუბნებოდა მცენება მოსესი ებრაელებს, — რომ არ შეგიძლიანთ სრულიად დაივიწყოთ თქვენი საკრძალო და წვრილმანი საქმეები ღვთის დიდი საქმის გულისათვის, მაშ აიღეთ კვირაში ექვსი დღე, ხოლო ღმერთს მთლად შესწირეთ ერთი მიწი.“ ასეთს შემსუბუქებას გვიჩვენებს ეკლესია. პავლე მოციქული სწერს ქრისტიანებს: „მოუკლებლად ილოცვედით (ათესალ. V, 17), მუდამ იქონიეთ ლოცვის განწყობილება; რასაც უნდა აკეთებდეთ, პირველად იქონიეთ სახეში ღვთის დიდება; ყოველივე თქვენი აზრი, სიტყვა და საქმე იყვეს განწმენდილი ლოცვით. „სუბით, თუ სვამთ, — გავსწავლის მოციქული, — ან სხვა რამეს აკეთებთ, ყოველსავე საიდინებლად ღვთისა იქმოდეთ.“ ყველანი ჩვენ ღვთისანი ვართ, და მთელი ჩვენი სიცოცხლე ეკუთნის ღმერთსა; ჩვენი ცხოვრება უნდა იყვეს ერთი განუწყვეტელი ღვთის-მსახურება. მაგრამ როგორც იუ-

დელებმა ქრისტე მაცხოვრის დროს გადააქციეს ტაძარი საქოლნის ეზოდ, სადაც ჰყოდნენ ხარებს და ძროხებს, ეგრეთვე ჩვენც მთლად ჩვენი ცხოვრება, ნაკვლად ღვთის-მსახურებისა, გადაგვიტყვეია ჩვენ ამოების ბაზრად. ამიტომ მზრუნველი დედა-ეკლესია შეგვგონებს ჩვენ: „თუ თქვენ მიანიცა და მიანიც მუდამ ვერ აღვფიქვინებთ თქვენს ცხოვრებაში ანგარიშს, მაშ ერთხელ მიანიც წელიწადში, ერთ კვირას მიანიც ოცდა-თორმეტ კვირაში განთავისუფლდით ჩვეულმდებრის ამოებისგან.“ როდესაც მდინარე თავის მორეგში ატრიალებს და აპროწილებს წყალს, იგი ისე იმღვრება, რომ მზის სინათლზედაც-კი იმაში არა გამოჩნდება; მაგრამ ამა ამოიღეთ წყალი მორევიდგან, განთავისუფლეთ პროწილიდგან, ცოტა ხანს დადგით, — მთელს თავის ჰუჭს და სიმღვრიეს ძირს დაილექამს, და წყალი მშვენიერად დასტებება; დიწინდება. ეგრეთვე საქირაა, დააწყნოთ სიმღვრიე თქვენის სულისა, დროებით მიანიც მოშორდეთ ცხოვრების მორეგს; დაჩრთ მართლდ თქვენ თვითან და ღმერთთან.

მღ. იოანე ლუკიანოვი.

სამიბარი.

(სტეფანე დამისტარაშვილის ხსოვნის).

მთა — კორტონხედა წარმოშობილმა, თავისუფლების ერთგულმა შვილმა მოკლე სიცოცხლე, შხამ-გესლიანი განვლუ; გააპე გზა ეკლიანი.

ღლიურ ვარაში ჰედლი იმედას; არ დაემონე უბედურ ბედსა; გრწამდა, — საცაა, გაჰქრება ბნელი, რომელს მოჰყვება დილა ნათელი...

დაიხ! შენ, დაუვიწყარო სტეფანე, იმედი არ მოგშორებია უკანასკნელ წუთებამდინ და ის გაცოცხლებდა, გამხნევებდა და გამლერებდა... ვინც დაახლოვებით გიცნობდა, მან კარგად იცის, რომ შენ, მიუხედავად ძალზე. გაქალარავებისა და დაქანცვისა, სული ნათელ-სპეტაკი ვეღვა მოღუნებულ სხეულში; შენში მხნე

ობდა ქაბუკური აღმადრენა; შენს მკერდში სკმნდა გაუტყებელი გული. შენ ღრმად გწამდა კეთილი მომავალი ძვირფასი სამშობლოსი. ხოლო ამ კეთილ მომავალს ტურფა ქვეყნისა საფუძვლად უდებდი ნორჩი შთამომავლობის კეთილად აღზრდას; აღზრდის საძირკველად კი გრწამდა დედა-ენის საფუძელიანი ცოდნა.

სამშობლო ენა იყო შენი სატრფიალო საგანი და მის მასწავლებლობაში დალიე უკანასკნელი წუთი. (გარდაიცვალა ქართულის ენის გაკეთილშედეგ — კლასში).

გაკვანდიერდები და ვიტყვი: საუკეთესო ლექსი ჩვენს ლიტერატურაში, მოგონება დედის დარიგებისა, რომელიც საცემით გამოიხატავს სამშობლო ენის უღირეს მწიშველობას ხალხის კომპლექსით ამაღლებას და ზნეობით განმტკიცებაში, შენ, მხოლოდ შენ გეკუთნის, და, თუ ეს, სამშობლო ლიტერატურის ძვირფასი განძი, რომელზედაც აღიზარდა და იზრდება ათი-ათასობით საქართველოს ახალგაზრდობა, სხვამ დაისაკუთრა, რითაც სახელი მოიხვეჭა, ხოლო შენ ხმა არ ამოიღე, ეს გარემოება სრულიად არ გამეორებს; პირიქით ერთი-ორად გამაღლებს ამ უტყუარი ფაქტის მკოდნეთა თვალში.

შენ უკანასკნელ წუთებამდინ დარჩი შენი საყვარელი სამშობლოს კეთილდღეობის ერდგული დარაჯი; გრწამდა მისი აყვავება და იყავი მარად ამისი წინასწარმეტყველი, რის გამო შენი სულიერი სახე უკვლელი იქმნება ჩვენს ხსოვნაში.

მშვიდობით, ერის შვილთა ერთგული მოსწავლეებლო!

ლიალი გრძნობის, სამშობლო ენისადმი სიყვარულის, გულში გამღვივებლო!..

გვთხოვებით გულის წვითა და ვუფელი მადლობით! შენი კეთილი ნაშრომი გაუქრობელ ლამპრად ექმნება საცოდავ შენს ობლებს. ნუ მიგყვება მათი ჯავრი. ხალხმა, რომლის კეთილდღეობასაც შენ ემსახურებოდი, უკვე გაახილა გონების თვალი, რაც თავდებია იმისა, რომ შენს ნორჩ ობლებს ვაუჩნდება კეთილი პატრონი, რომელიც მოსწმენდის მათ მდღეიარე ცრემლებს...

საუკუნო იყოს ხსენება შენი, პატიოსანო და თავმდაბლო მოღვაწეე!...

გ. ბოკერია.

წაჯექ-უკუჯექობა.

ამის მეტი შესაფერი სახელი ვერ მოუნახუთ ჩვენ ღარიბ ქართულ ენაში იმ პირთა უმგვან მოქმედებას, რომლებიც ჩვენი საეკლესიო შკოლების ბედ-იღბალს განაგებენ. აგერ ოცდა ხუთი წელიწადია, რაც საცოდავ საეკლესიო შკოლების მასწავლებლებს დაპირებით ჰკვებავდენ და რალაც სახედრის საყვების ფასათ ამუშავებდენ; ბოლოს, როგორც იქნა ჯამაგირი (!?) 30 თუმნათ გუფხადეს. მაგრაპ რა მოხდა? ჯერ კიდევ ორი წელიწადი არ გასულა და საბრალოებს ეს უმაღლესად ბოძებული ჯამაგირები შეუუკვცეს. მომავალი წლიდან მათი ჯამაგირიდან ორკომპლექტიან შკოლების მეორე მასწავლებლები უნდა დააკმაყოფილონ, რომლებიც აგერ ორი თუ სამი წელიწადია უჯამაგირით მსახურებენ, ე. ი. იმედინ შიმშილს ეწვეიან. თქმა არ უნდა, რომ მეორე კომპლექტის მასწავლებლები ცოდნი არიან, მაგრამ რა მათი ბრალია, ვისაც სრული ჯამაგირი აქვს? ვინც ეს მეორე კომპლექტიანი შკოლები გააჩინა, ჯამაგირიც მას უნდა დაენიშნა თავის საკუთარი ჯიბიდან და არა სხვისი ჯიბიდან. თავიდანვე უნდა გაეთვალისწინებიათ ჩვენი შკოლების მეგედისწერეებს და სილაზე არ უნდა აეშენებიათ მეორე კომპლექტები. ეხლა რა გამოდის? — გაყოფილი ჯამაგირი ვერც ერთს დააკმაყოფილებს და ვერც მეორეს, ორივე მშვიერი დარჩება და ეს გარემოება კი ცუდ გავლენას იქონიებს შკოლებზე. ვინ არის დამნაშავე ასეთ განკარგულებაში? ისინი ვინც ჩვენი შკოლების ადგილობრივ უმაღლეს ბატონ-პატრონად ითვლებიან და შკოლებისა და მათი მასწავლებლების იმდენი შესჭირთ, რამდენიც მეგელს ცხვრებისა. ობოლ მაგალითსაც მოგიყვანთ: ქუთაისის მწვანეყვავილის შკოლის მასწავლებელს, რომელიც დღემდე საუკეთესო მასწავლებლად ითვლებოდა და რომელსაც მად-

ლობის მეტი არავითარი შენიშვნა არ მიუღია, ჯამაგირი შეუმცირა ბ. ავერკიევმა. როგორ ფიქრობთ, რისთვის? შკოლაში სასურველი „უსუბეხები“ ვერ უპოვნია. აკი მოგახსენებთ ამას წინეთ, რომ ბ. ავერკიევი რკინის გზისთვისაა შექმნილი და არა შკოლისთვის მეთქი: დაიჭირა კანდუქტორი უბილეთო მგზავრით და ჩააჯარიმა; დაინახა შკოლაში ნაკლები „უსუბეხები“ და მასწავლებელიც „ჩასწრაფა“. რომ ბ. ავერკიევის ახალმოდის პედაგოგიური ზომა დაკანონდეს, სწავლა- განათლების სამინისტროს ნახევარი ხარჯი მიიწი უსაწვე დაუბრუნდება, იმდენი ნაკლებ „უსუბეხიანი“ მასწავლებელი და პროფესორი აღმოუჩნდება. ეს ზომა რომ ლოლიკურად გვატაროთ თვით ავერკიევი ერთ კაპიეს ვერ აიღებს თავის, წლიური ჯამაგირიდან, რადგან მასწავლებლების ცუდი „უსუბეხები“ საკუთარი მისი ცუდი უსუბეხებია. ბ. ავერკიევისაგან არ გვიკვირს ასეთი არა პედაგოგიური ზომების ხმარება, რადგანაც „რაც არ იციან, რასა იზიანან“, მაგრამ გვაკვირებს იმ გამოცდილ და გამობრძმებულ პედაგოგთა საქციელი, რომლებიც საეკლესიო შკოლებში „სინედრიონში“ სხედან. არ გვესმის რანაირად მოუბრუნდათ ხელი ასეთ დადგენილებაზე მოსაწერათ? მაგრამ მის მუფუებას ყოვლადსამღვდელო გიორგისაც ხომ შესაფერი რეზოლიუცია უნებებია: „такъ не поступаютъ съ лжкешами и поварами“—ო. ერთიც ვნახათ, „სინედრიონის“ განაჩენი „ბუხაპელაკონი“ ყოფილიყო, ხომ დეკარგებოდა საცოდავ მასწავლებელ ქალს ექვსი თუმანი ფული და მერე როგორ მასწავლებელს?— რომელიც ავერ 12—13 წელიწადია ერთ და იმავე შკოლაში მსახურობს.

მაგრამ ამით მარტო არ თავდება მასწავლებლების წაჯექ-უჯექობა. ბ. ბ. მეთვალყურეთა პედაგოგიური გამჭირახობა საჩხერის შკოლაშიც სწავდა. ეს შკოლა, როგორც ვიცით ისტორიული შკოლაა. მის დაარსებისთვის თავი დასდვა ორმა დიდად პატრიცემულმა პირმა, ყოვლად სამღვდელო იმერ. ეპისკოპოსმა გაბრიელმა და დეკ. ი. აბაშიძემ. შემდეგ დიდი

შეწირულება, დიდი დახმარება და შემწეობა აღმოუჩინეს ამ შკოლას ბ. დიმიტრი ივანეს ძე აბაშიძემ, რომელიც ამავე შკოლის მზორუნველია ამ სიტუაციის ფართო მნიშვნელობით, და ბ. ილარიონ გამყურელიძემ, რომელმაც 3—4 ათას მანეთით ღირებული ადგილმუშებარობა შესწირა თვით სამღვდელოებამაც დიდი მონაწილეობა მიიღო ამ შკოლის ბედისწერაში. ეხლა უნდა განიხილოთ ეს შკოლა სწავლავლბრდის მხრით, თვით სახალხო ინსპექტორდირექტორები განცვიფრებაში მოდიოდნ ამ შკოლის მაგირდების ცოდნით და ყოფაქცევით ეს მასწავლებლების ნიჭით და ბეჯითობით. ეს შკოლა, ასე ვსთქვათ, დედა ყველა დანარჩენ შკოლებისა დ. საჩხერეში. აი ასეთ ისტორიულ და ერთად ერთ შესანიშნავ შკოლას მთელ იმერეთის ეპარქიაში მიადგენ ბ. ბ. მეთვალყურეები, ათივლწუნეს თავის მასწავლებლიანა და მგონი სულ განადგურებასაც უპირებენ. ყოველ შემთხვევაში პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია. მასწავლებლებისთვის ჯამაგირები შეუმცირებიათ, რაც „მიბრძანდით“—ის ნიშანი გახლავთ და ეს უკანასკნელი კი შკოლის დაცემის.—ნუ დავიწყებთ რომ ამ შკოლაში დიდი ხნიდან მსახურებს ორი დამსახურებული და გამოცდილი მასწავლებელი, მ. ბლაღ. მღვ. ვლადიმერ აბრამიშვილი და ბ. იასონ ლამბაშიძე, რომლების გამოცდილებას და საქმეში ჩახედულობას ვერ დიწუნებდა ვერც ერთი ჩვენი შკოლების ყოფილი მეთვალყურე და მით უფრო ეხლადდენის, რომლებიც, სამწუხაროთ უნდა ვსთქვათ, ვერ დგანან თავის დიად მოწოდების სიმძლევზე. ამ ორი პედაგოგის ამ შკოლიდგან გასვლა, უკანასკნელის სიკვდილის მომასწავებელი იქნება. თუ სამუდამოთ არა, დროებით მაინც.

თავისთავად ცხადია ასეთი წაჯექ-უჯექობის თამაში შკოლების „უსუბეხებს“ გერას შემატებს: რამდენი მცირე ჯამაგირი გექნებათ, იმდენი მასწავლებელიც უფიცი და გამოუცდელი გეყოლებათ და წინაუქმო. მაგრამ ამას გარდა ასეთი წაჯექ-უჯექობით ერთ დიდ და აუნახლავრებელ ზიანს მოუტანთ კიდევ თქვენ თავს და თქვენ



შკოლებს, ბატონებო, სახელდობრ იმას, რომ ნდობას დაკარგავთ ხალხშიდაც და მსწავლელებშიდაც და ამის შემდეგ კი „прощай хозийские горшки“. და მართლაც ვინ უნდა გენდოსო: დღეს შკოლის ხსნით, შეწირულებას ღებულობთ, ხვალ ხურავთ, შეწირულებას თავზე აყრით, დღეს სრულ ჯამაგირს აძლევთ, ხვალ შუა უყოფთ და უკლებთ. სადაური პედაგოგიური ხუროთმოძღვრებაა ეს? ეს არ გავს სახალხო განათლების აღორძინების სურვილს, ეს არ გავს უმაღლესი ნების აღსრულებას, ეს საეკლესიო სახალხო სწავლა-განათლების სრული განადგურებაა!!.

ხელი.

ქვირილა-ქვირამკე.

გორის ეპისკოპოსი ანტონი ნოემბრის დამლევს პეტერბურგს გაემგზავრა.

საქართველოს ეგზარხოს თფილისში 22 დეკემბერს მოვილან.

ქრისტიანობის აღმადგენელ სახ. საბჭომ გადასდო 300 მანეთი ბოდბის შკოლის ქართულ ენის მსწავლელების მოსაწვევად და 800 მანეთი ჯავის ეკლესიისთვის საკრებულო სახლის შესაძენად.

სამღვდელოების დელეგატა (?!) კრება 15 დეკემბერს დაიწება თფილისში. დელეგატებს დღეში მანეთ ნახევარი მიეცემათ, გზის ხარჯი კი უნდა იკისროს იმ რაიონების სამღვდელოებამ, რომლებიდანაც დელეგატები არიან კრებაზე გამოგზავნილი. (სახ. ვაზ.)

„შინ საქ.“ № 41 შეცდომით გვეკონდა მოყვანილი იმერ. სამღვდ. კრების მოწვევის დრო 16 დეკემბერი, უნდა იყოს 18 დეკემბერი. კრების განსახილველი საგნები არიან: 1, სასულიერო და სა-

ქალგობა სასწავლებლების ხარჯთაღრიცხვის განხილვა, 2, სანთლის წარმოება 3) მეღვინეთა შკოლის დაარსება, 4) ახალ დამატებითი ჯამაგირების დაყოფა (3650 მანეთია სულ) 5) სანთლის ნიხრის დაწესება მსგავსად თბილისის სანთლის ქარხნისა. 6) სემენარიის პარალელურ კლასების შენახვა. 7) მეორე „ნადზირატლისათვის“ საჭირო თანხის გამოძებნა.

ჩვენი დანაშაურობა.

უსაფუძვლოდ სხვის გამტყუნებას სჯობია თვითონ სამღვდელოებამ თავისი თავი საფუძვლიანად გაიმტყუნოს და ჯეროვნად გასწორდეს. ყოველი მღვდელი, ხალხში სარწმუნოების შემცირების მიზეზით ასახლება საყოველთაო მოძრაობას. მართალია მოძრაობამ ყოველი მხრზე გავლენა იქონია ხალხის ცხოვრებაზე, მაგრამ, რაც შეეხება სარწმუნოების დაცემას ჩვენში, ამას მარტო მოძრაობას ნუ დავაბრალებთ, ამაში ჩვენ მღვდელებიც ვართ დანაშაუვე. როგორც ვიცით, მღვდელი უნდა იყოს მაგალითი ხალხისათვის, რომელიც მას შესწერებია და მისგან ღებულობს ავსაც და კარგსაც. მიუხედავად კარგი მაგალითისა, მღვდელები ხშირად ცუდ მაგალითს აძლევენ ხალხს. დასუსტდა სამღვდელოება და შემცირდა სარწმუნოებაც, რის შემდეგ ხალხმა მღვდლებს ზსრგი შეაქცია. მღვდელები რომ თავის მოვალეობას დაჰკვირვებოდნენ, ეს ასე არ მოხებოდა. მუდამ მღვდელი ყურადღებას უნდა აქცევდეს თავის მოქმედებას. ცოტასაც დიდი გველენა აქვს ხალხზე. ავიღოთ მაგალითი: — ხალხი მოწონებით მიდის მღვდელთან და შენდობას სთხოვს მას; ამ დროს ზოგიერთი მღვდელი ცხვირს გვერდზე წაიღებს, თითქოს შენდობის მიცემას არ კადრულობსო, ჯვარს არ გადასახავს, თითქოს ჯვარს რა მნიშვნელობა აქვსო, მხას არ გასცემს და ისე დიდი დამადლებით გაუშვებს ხელს კაცს სამთხვევათ. ამნაირი მოქმედება მღვდლისა სარწმუნოებასაც ურყევს ხალხს მღვდელსაც აძლევს და ამ



კარგ ჩეულებასაც აკარგინებს. აგრეთვე ცუდად მოქმედებს ხალხზე ის შემთხვევა, როდესაც მღვდელი ხალხს თავთავის დროზე არ უსრულებს მღვდელ-მოქმედებას და ან კიდევ როდესაც სულ უარსაც ეუბნება მღვდელ-მოქმედების შესრულებაზე, როგორც მაგალითად სახლის განათვლაზე ხთება ხოლმე. კაცი მიდის და სთხოვს მღვდელი სახლის განათვლას, რაზედაც მღვდელი უპასუხებს მთხოვნელს: „რა საჭიროა შეილო, ჩემი იქ მოსვლა, წადი გელისაზე, მნათე ნახე, აიაზმის წყალი წაიღე და სახლი შენ თვითონ მოასხურე“ო. მართლაც მთხოვნელიც ეგრე იქცევა, აიაზმის წყალი მიაქვს და სიკოლ-ხარხარით სახლს ასხურებს, და დამსწრეებს ეუბნება „მოდიო, ხელზე შეითხვრამეთ, თქვენი მღვდელი მე ვარ“ო. დროა სამღვდედობებამ თავის მოვალეობა შეიგნოს.

მღვდელი ნესტორ დევიძე.

პრიციპული შენიშვნები.

(„გარდემლი“, სალიტერატურო კრებული. წიგნი I.)

სატირა, მართალი რომა თქვას კაცმა, როდი მსჯელობს, როდი არწმუნებს მკითხველს არგუმენტებით და ლოგიკური მოსაზრებით. იგი იღებს ცხოვრებაში დასაციწარს ჩვენს მოქმედებას, უსაქციელობას, რომელიც ყოველ ნაბიჯზე შეხვდება დაკვირვებულს ადამიანს და დასციწის ამ უსაქციელობას, ამ უგვანს მოქმედებას.

მაგრამ ჩვენს პოეტს იმაზე კი არ ეცინება, რომ საქართველოში მრავალ არიან ბოროტი, „ეშმაკი“, ყოველად საზიზღარი ადამიანები. არამედ იმაზე ეცინება მწერათ, რომ წირვაზე მამა ხარლამზე მეტანიებით და გულში მუშტის ცემით ღმერთის ევედრება, შეუწოდოს და აპატიოს ლოთობა და ღორმუცლობა, რომელსაც იგი მიანიც ერთგულათ და მტკიცედ ემსახურება სიკვდილამდე; ან ჩვენებური მექრთამობა ყოველს წრეში და ყოველს საზოგადოებაში — აქ სატირას დიდი საზოგადო-

ბრივი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული: რადგან პირდაპირ ცოცხლად ხატავს ცხოვრების სურათებს, მის ყოველ დღიურ მოვლინებებს და არა მარტო უგემურ სიტყვებს, უშინაარსო სიტყვებს ისვრის წარა მარად, უგანაჩენოდ...

აბა, ყური დაუგდეთ დეკანოზი ესტატეს „რეს“, როცა იგი მრავალ ღვდელთა შორის გაშლილ სუფრას უზის: „მამაოჩვენო“,

ქვეყნის გამგენო,
კურობულ იყოს შენი სახელი!
სტომპქს, მერე სულს,
ჯიბეს, შემდეგ გულს,
ჩვენს შეაშველე მოწყალე ხელი!
გამგვეც ჩვენ პური,
არა ციური —
წმიდნ ფქვილისა და გამომცხვარი,
მოხარშულები,
მოხრატულები.

თეთრი და წითელ ღვინისა ღვარი!
ფლაგი, ბოზბაში,
და ნივრით ხაში
გვიმრავლე ფრიად, ჰყავ უღვეველი:
მოგვეცი ჩვენა
შეება და ლხენა,
საგე ჰყავ ჩვენი დიდი მუცელი!
ესტატე ღვდელსა,
ჩვენს მასპინძელსა
მიეც მხეგობა და დღევრძელობა;
აწვიმე მახე,
მის წმინდა თავზე
შენი სიუხუე, შენი ქველობა!
რომ სხარაული,
ულრუბლო, სრული
უკუნისამდე არ მოეშალოს,
და ჩვენ ღვდლებისთვის
იმის ძმებ-სთვის
ამ გვარი სუფრა მუღამეშალოს“...

იმ კაცისთვის, აგრეთვე იმ ხალხისთვისაც, რომელიც უშინაარსო, ქარაფშუტულ ცხოვრებას ჩაუთრეფია, მაგრამ სულ მთლად მიანიც ჯერ კიდევ არ წაურყენია იმის ცხოვრება და სიკოცხლე, სატირას დიდი, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ისინი გაიგებენ, რომ არის

ნახი, შვენიერი მწერლობა, არიან ცხოვრების მხატვარი, რომელიც დასცინიან ამ ხალხის უსაქცილობას და სისაძაგლეს, არიან კეთილი ადამიანები ამ ქვეყნათ, რომელიც თლად დაღუპულად არა თვლიან იმათა და მხადაც არიან თანაგრძობის და შემწეობის ხელი გულწრფელად გაუწოდონ ამ უბედურთ და უჩვენონ მათ ღირსეული, მართალი და ქეშმარიტი გზა ცხოვრებისა. წმინდა სალიტერატურო სატირულ ნაწარმოებში ადამიანი ნახავს ისეთს მოყვასთ, რომელიც პირწმინდათ არიან გამომწერდნენ და დახატულნი ლიტერატურაში და ამით იგი, რა თქმა უნდა, შეისუბურებს თვის პირადს ტანჯვას, გამწარებას და მწუხარებას, რომელიც მის გულში ჯოჯოხეთად გადაქცეულა.

ეს ცხოვრება, ეს ქვეყანა, გულის ეს ღრულვლებანი და სულის მისწრაფებანი, რომელიც ჯერ არ გამოუცლია, არც უნახავს ახალგაზდა ადამიანს, ამიერიდან გულით შეზიზღდება ცოცხალი გულმკერდის პატრონს. ეს საზიზღრობა, დახატული ასე ხელოვნურად, მართლად და სინამდვილითაც, პოეტურად, რომელიც ცოცხლად გამოუყვანია ავტორის ასეთის ამითროლებლის, ამაკანალებლის, ამპრიალებლის გულ წრფელებით და ნიჭიერებით, მიუცილებლად, იმოქმედებს ადამიანის სულის განვითარებაზე, აღძრავენ მასში კეთილ შობილურ, სიმელო ინსტიტუტებს, გაუფართოებენ აზრებს, გაუმარებენ ხასიათს და მიანიჭებენ მას ახალს ძალას პატიოსანი და სასარგებლო მოქმედებისთვის...

ბოლოს, აქვე დინახავს ეს მკითხველი სინამდვილით იმ მოჩვენებასაც, რომელიც სამაგალითოდ და მისაბაძავათაც ყავდა მას წარმოდგენილი, თუ რა საცოდავი, საზარელი, დაწერილანებული ინტერესებით ყოფილა შებოქოლი, ჩაყლაპული ეს მოჩვენებული საღობანა, რა დაცემული და გამოფიტებული ყოფილა ბუნება, მთელი არსება იმ ადამიანებისა, იმ ჯგუფებისა, რომელიც ასე სინამდვილით დახატა „გრდემლის“ ფურცლებზე თვის სატი-

რული კალმით დიდათ ნიჭიერმა მგოსანმა კ. მაყაშვილმა...

„გრდემლი“ ბატონს ვ. ბარნოვს დასტამბული აქვს კარგად დამუშავებული მოთხრობა: „თებერას დანიშნული“.

ვ. ბარნოვი ნიჭიერი ქართველი მწერალია. თუ არა ვცდები, იგი პირველად „კვლის“ ფურცლებზე გამოვიდა, სადაც პირველად მან მოათავსა თვისი პირველი ისტორიული მოთხრობა — „სვიმონ ხელი“. მას აქვთ მას კალაში ხელიდან არ გაუფლია და გულმოდგინედ შორს პრაზინციაში გადადებული ჩინებულ მოთხრობებს წერდა — თურნალ „მოამბეში“ და სხვა ქართულ გამოცემებში. რასაკვირველია, თფლისში რომ ეცხოვრა, როგორც მიღებულა, წრესაც გაიჩენდა, ბევრსაც დამეგობრებდა და კრიტიკასაც ხმას აშოალებინებდა. მეგრამ ეს ასე არ მოხდა და ბ. ვ. ბარნოვი განაგრძობდა მუშაობას ისე, რომ ჩვენი ქართული სალიტერატურო კრიტიკა იმას სრულებით ყურადღებასაც არ აქცევდა. ყურადღების ღირსი კი იყო ვ. ბარნოვი...

იმის მოთხრობანი უფრო მომეტებულად სოფლის ცხოვრებას აღწერს მხატვრულად და, უნდა ვთქვა, რომ დიდი დაკვირვებით და პოეზიით შეუძლია მას ნახული და გაგონილი ამბავის გამოხატვა. ვ. ბარნოვი ისეთი ძლიერი ცოცხალი ნიჭით არის დასაჩქებებული, რომ იმას ძალიან ემარჯვება, სხვა ჩვენ აღმოსავლეთის საქართველოს მწერლებთან შედარებით, ხასიათების გამოხატვა სოფლად და იმათი მხატვრულად აღწერა. იმისი მოთხრობის გმირები მომეტებულად იშვიათ ან განყენებულ პირებს არ წარმოადგენენ და მკითხველს ძალიანაც გეცნობებიან და გენათესავეებიან. ავტორი არა ხმარობს გაბერილ, მაღალ კილოს თვისი უნახესი გრძნობების გამოხატავად. ამიტომაც, იმის მოთხრობებს ბუნებრივი ცხოველყოფელობა და ზომამზე გაღუქარბელობაც ეტყობათ. ვ. ბარნოვის მოთხრობებში თითქმის ყოველგან კარგი, ძალიან მოსაწონი სურათებია, ცხოვრების სცენებია გა-



შლილი, რომელნიც ავტორს პოეტურადაც აქვს გადმოცემული.

ბომლელი.

შემდეგი იქნება.

გურია-სამეგრელოს სანთლის ქარხნის შესახებ.

იდი ხანია, რაც გურია-სამეგრელოს სანთლის ქარხნიდან ყალბი სანთელი გამოდიოდა. ყველა ამჩნევდა ამ გარემოებას, სამღვდლოების კრებებზედაც ბევრჯერ იყო ღაპარაკი ამის შესახებ, მაგრამ არ იქნა საქმეს არა ეშ-

ველა რა. ბოლოს მოიჯარადრეს მიანდეს თელათ იმ პირობით, რომ 30 მანეთათ ჩაებარებია ფუთი გაკეთებული სანთელი. საქმეს ვერ ამან უშველა და დღეს, როგორც გვესმის მოიჯარადრე დაითხოვეს და საქმის მოწყობას სხვა რიგით აპირებენ. ჩვენ არ ვიცით კვლავ რა წესზე დადგება სანთლის წარმოება, მაგრამ მეტათ არ მიგვაჩნია ძმური რჩევა მივსცეთ მომზე სამღვდლოებას. რადგან ძალიან ძნელია ერისკაც მოიჯარადრის ნდობა, რომელიც ასე თუ ისე ვაჭრული თვალთ უყურებს საქმეს და ცდილობს, რაც შეიძლება, იფათ და-

ახალი ჟურნალი „განთიარლი“

1913 წლის ზირველი იანვრიდან

ქ. ქუთაისში გამოვა ქართული ჟურნალთა ჟურნალი

„განთიარლი“

ჟურნალში იქნება შემდეგი განყოფილებანი: 1) ღვთისმეტყველება და ფილოსოფია; 2) არქეოლოგია და ისტორია (სამოქალაქო და საეკლესიო); 3) პოლიტიკა და ეკონომია; 4) მედიცინა და ჰიგიენა; 5) ბელეტრისტიკა და პოეზია; 6) სასოფლო მეურნეობა; 7) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია; 8) შინაური და უცხოეთის მიმოხილვა; 9) სახელმწ. საბჭოსა და სათათბიროს, და სხვა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა ანგარიში; 10) მამათა სტუდენტობა; 11) მოძღვრებანი და ქადაგებანი მთელი წინამდებარე თვის უქმი დღეებისა. ჟურნალი გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში და ელირება: წლიურათ 5 მანეთი, ნახევარი წლით 3 მანეთი, ოთხი თვით 2 მანეთი და 10 შაური; ცალკე ნომერი ყველგან 10 შაური. „შინაურ საქმეებზე“ ხელის მოაწერლებს ჟურნალი წლიურათ 4 მანეთად დაეთმობათ, ამავე ფასში ეთმობათ ჟურნალი სახალხო სკოლების მასწავლებლებს და სახალხო უფასო საშუალებებს. წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თავის სკოლებისათვის ჟურნალი 3 მანეთათ და 10 შაურათ ეთმობა. ჟურნალის დაკვეთა შეიძლება დღეიდგახვე ქ. ქუთაისში ი. კვიციანიძის გაზეთების კანტორაში, მთავრიშუალის და აშხ. წიგნის მაღაზიაში და რედაქტორთან. წლიური ფასის გადახდა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს სპი მანეთი და პირველ ივნისს 2 მანეთი.

რედაქციის ადრესი ქ. ქუთაისი რედაქცია „განთიარლი“.

რედაქტორ-გამომცემელი მღ. ს. მკვლიძე.



იჯინოს საქონელი და ძვირათ გაასაღოს, ამიტომ საქირაო სანთლის წარმოება ისეთი ადომიანების ხელში გადავიდეს, რომლებიც, გარდავაკრული ანგარიშისა, სანთელს უყურებენ, როგორც საეკლესიო საქმეს, რომელთა პირდაპირ ინტერესს შეადგენს, რომ სამთელი წმინდა იყოს. ასეთ დაწესებულებათ ჩვენ მიგვაჩნია მონასტერი, სადაც ბერები უსაქმობისაგან მხოლოდ ქორიკანობისა და მოქნარების მეტარას აკეთებენ. ამით ბერებს საქმეც გაუჩნდებათ და მონასტერიც სიღარიბეს თავს დაამწყვეს, რადგან სანთლის ჩამოსახმელი ქირა მონასტრის სასარგებლოთ დარჩება. რა თქმაუნდა, აქაც ყურისგდება და მიხედვა უნდა საქმეს, რაც ადგილობრივ ეპისკოპოსის მოვალეობას უნდა შეადგენდეს, იმავე ოცდაათ მანეთად რომ სამღვდლოებამ მონასტრიდან გაკეთებული სანთელი იყიდოს, თითონაც არაფერს წააგებს და მონასტრისკ შეეწევა. ასეა საქმე დაყენებული იმერეთის ეპარქიაში და, უნდა მართალი ვთქვათ, არც არაფერი სამღვდლოებას წაუგია და გელათის მონასტერიც (სადაც სანთლის წარმოება) რაღაცას დაემსგავსა.

თუ ვინიცობაა გურია-სამეგრელოს მონასტრებში არ მოხერხდება სანთლის წარმოება, ურიგო არ იქნება რომ ეპარხია სანთელს გელათის ქარხნიდან იხარჯებდეს იმავე ფასით, როგორც ეს მას ფოთში საკუთარი ქარხნიდან გამოჰქონდა, ე. ი. ვიღებდეს მხოლოდ სანთლის გასაკეთებელ ხელფასს. ეს აზრი ბევრს არ მოეწონება, მაგრამ შევხედოთ საქმეს სარგებლობის მხრით და თავი დავანებოთ უადგილო თავმოყვარეობას. თუ საკუთარი ქარხნიდან გაკეთებული სანთელი 30 მანეთად გამოჰქონდათ დუქნისთვის და არაფერს აგებდენ, რატომ არ შეიძლება და რა არის აქ სათაკილო თავმოყვარეობის შემლახველი, რომ იმავე ფასით გელათის სანთელი მივიღოთ ფოთში. ეს საქმე მკორეოდენ დამაკვივრებელ და დამაახლოებელ საქმესაც გაუჩენს ორ მეზობელ ეპარქიას, რომლებიც პირიქით უნდა ეძებდენ ასეთ დამაკვივრებელ და დამაახლოებელ რამეებს.

უკუყვადლოთ დამაქცეველი თავმოყვარეობა, მძურად ჩავყიდოთ ერთიმეორებს ხელი, იმ ფიქრით რომ ჩვენი მიზანი ერთია, როგორც ჩვენი, სამშობლო ერთია, და მაშასადამე, თუ რამეს გავაკეთებთ, სადაც უნდა გავაკეთოთ, საერთო მიზნისა და მამულისათვის გავაკეთებთ.

იმერული ღვდელი.

მოწერილი ამბები.

სამეტრელოს სამღვდლოების კრება.

26 ნოემბერს დ. ახალსენაკში მოხდა წლიური კრება მეგრელიის სამღვდლოების დეპუტატებისა შესახებ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ხარჯთაღრიცხვის განხილვისა და დამტკიცებისა. წრევანდელი ხარჯთაღრიცხვა სამღვდლოებისაგან 4000 მანეთით მეტს თხოულობდა შარშანდელთან შედარებით. დეპუტატები ჩვეულებრივ მსჯელობას შეუდგენ. პირველად წაკითხულ იქნა საქართველოს ეგზარქოსის მოწერილობა სასწავლებლის ზედამხედველის არხიმანდრიტ სტეფანეს სახელზე, რომელსაც მისი მალაყოვლადუსამღვდლოესობა სწერს, რომ თანახმად მისი რაპორტისა სამღვდლოების დეპუტატთა კრებაზე დასასწრებალად სრული გადამწყვეტი ხით ნიშნავს ამავე სასწავლებლის ინსპექტორს ბ. იერონიმე მერ არსენიშვილს. ასეთმა არა ჩვეულებრივმა განკარგულებამ სამღვდლოება ეკეში შეიყვანა და შეიქნა მსჯელობა იმის შესახებ, მიიღონ თუ არა ბ. არსენიშვილი გადამწყვეტი ხით და რამდენად კანონიერი იქნება ასეთი განკარგულება. მ. არქიმანდრიტის მოქმედება და ეგზარქოსის განკარგულება უკანონოდ იქნა ცნობილი და ბ. წარმომადგენელს ი. არსენიშვილს წინადადება მიეცა დასტოვოს კრება. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ბ. ინსპექტორმა ვეხი ვიღავა: მე მთავრობამ მიბძბანა და თავიც რომ გამაგდებინაო; კრებას ვერ დაესტოვებო. კრებამ გადასწყვიტა, ტელეგრაფით აცნობოს ობერპროკურორს, რით დაიმსახურა მეგრელიის სამღვდლოებამ ასეთი უნდობლო

X
 ხაჩი
 ხაჩი
 ხაჩი
 ხაჩი



ბა, რომ ბ. ინსპექტორს გზირათ უყენებენ. შეუდგენ ტელეგრაფის წერას და განმეორებთ სიხოვეს ბ. არსენიშვილის ცხლა მინც დასტოვოს საკრებულო დარბაზი, რადგან საქმის განხილვას სამღვდლოება არ აპირებს, მაგრამ სამღვდლოების ედრება კლდეს შეეჯახა და უმნიშვნელოთ ჩაიარა. მიუხედავად ამისა, სამღვდლოებამ თავისი ჰქნა: შეადგინა ტელეგრაფი და სინოდის ობერ-პროკურორს გაუგზავნა. ენახათ რა იქნება.

არ შეგვიძლია არ აღენიშნოთ მ. ზედამხედველის სრქ. სტეფანეს თავგასულობა: ჯერ კრება არც კი შესდგამოდა ხარჯთაღრიცხვის განხილვას, რომ მან მოითხოვა კრებაში შემოსულა, სადაც სხვათა შორის განაცხადა: „გიჩეეთ, ხარჯთაღრიცხვა უცვლელად მიიღოთ, თქვენივე შვილებისა და სასწავლებლის სასარგებლოდ, თორემ ნუ გეწინებათ და მე მიიწკჩემსას გავიტანო“. საკვირველია, თუ ეს შესაძლებელია, მაშ რისდა მაქნისია სამღვდლოების კრება? კრებამ ეს ვარაუდობაც ანობა ობერ-პროკურორს, მიუხედავად მ. არქიმანდრიტის განცხადებისა, რომ მას ეს არ უთქვამს და ამიტომ არც უნდა შეეტანათ ტელეგრაფი.

ჟ.

წერილი კაფაშიის მიხარით.

მაშაო რეაქტორა!

უმორჩილესად ვთხოვთ ვაზეთ „შინაური საქმეებში“ ადგილი დაუთმოთ ჩემ მიერ წერილს, რომელიც მდგომარეობს შემდეგნაირად: 13 ნოემბერს ერთმა ჩემმა პრევიტადან მა სოფლის ვაკისუბნის ეკლესიაში ჯვარი დაიწერა. ადგილობრივ მღვდელს მ. მიხეილ მესხს ერთი უშველემელი კორიანტელი აყენებია იმ მიზეზით, რომ ჩემგან მიცემულ მოწმობაზე მე დაუითნეს ხელი არ ქონდა მოწერილი. მე არ უარ ვყოფ იმას, რომ მდღეითნეს მართლაც ხელი არ ქონდა მოწერილი; რადგან არ დამსწრებია. მაგრამ ეს ვარაუდობა რომ საქმეს არაფერს უშლის. დ მოწმობის კანონიერებას არ არღვევს ეს მ. მესხმაკ ვარაუთ იცის. სხვა შემთხვევაში იგივე მ. მესხი ხშირად კანონებ-

საც თავზე ახტება და აქ კი სულ უადგილოთ გასტარებულა. მოვავრუნებ მ. მესხს, რომ მან ერთ მოტაცებულს მღვდლის ქალიშვილს ჯვარი დასწერა სრულიად უმოწმობით და ეპისკოპოსის განკარგულების წინააღმდეგ ასეთი და ამის მსგავსი შემთხვევები ბევრი შეგვიძლია მოვიყვანოთ მ. მიხაილის პრაქტიკიდან; მაგრამ ამით პატივცემულ მკითხველს თავს არ შევაწყენთ არც ეს უმნიშვნე ვინდოდა; მოგვეთავსებია ვაზეთში, მაგრამ ცოტათ თუ ბევრად საზოგადო მნიშვნელობას ვაძლევთ: სახელდობრ იმას, რომ მღვდელმა თავისი თანამა არ უნდა ვილანძლოს და დაამციროს მშრევის თვალში, როცა ხედავს, რომ მისი მოქმედება საზოგადო კანონებს არ არღვევს. ეს კი ხშირად ხდება ჩვენ პრაქტიკაში ან თავის გამოსაჩენათ ან ანგაარების მიზეზით.

მღვ. ა. ხაჯაგა.

მაშაო რეაქტორა!

უმორჩილესად ვთხოვთ თქვენს პატივცემულ ვაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგ სადაც სუბო წერილს. „შინაური საქმეების“ მე-38 ნომერში მოთავსებულია ჩემს შესახებ მთლაც ხუცესის წერილი „უსამართლო დაბეზლება“; რომელიც თავიდან ბოლომდის სიცრუითა და ცილის წამებით არის აღვსილი. მ. ხუცესი ბძანებს; ვითომ მე ცილის წამებით გულს უწუხებდე, ვტანჯავდე და სულს ვუშვოთებდე დეკ. რომანოვ დეკანოსიძეს. ეს ტანჯვა, ცილის წამება და სულის აღშფოთება კომისიის წევრთ; თურმე იმაში გამოიხატება, რომ ვამნიზრახავს ხარაგაულის სამრევლო სკოლის უცვლესიაში; რომლის გამგეთ მაშა რომანოზი ითვლება, ვარგეზია მომეხიანა და შემოსავალ-გასავლის წიგნები გამიშინჯა; რადესაც ამის უფლებად სრულებითაც არა მქონია და ვილაც ვარაუდ ვინმე ვბძანებულვარ; მოვახსენებ სულაერ ხუცესს, რომ ვინც კერძო ინტერესებით არ არის გამასკვლული ისე, როგორც თვითონ ბძანდება, აუცილებლათ ეცოდინება; რომ მე; როგორც გორ ბლაღოჩინს, სრული უფლება მაქვს ყვე-

ლა ჩემდამი რწმუნებულ საბლალოჩინო ეკლესიაში რვეიზია მოეცაბინო, რომლითაც არავისაღმი არავითარი მებზრობა და სულის შეხუთვა არ გამოიხატება. რადგანაც ასეთ უბრალო საკითხზედაც კი არ ჰქონია საბრალო ხუცესს წარმოდგენა და რაღაცას ჰგოდებს, ამისათვის, გონს რომ მოვიდეს, წაიკითხოს ყოველადამდედლო იმერეთის ეპისკოპოს გიორგის შემდეგი რეზოლიუცია: სწორეთ ამ საგნის შესახებ წაბძანები, რომელც გამოწვეულია ჩემი შეკითხვის და არა დაბეზლების მეოხებით, რადგან მ. რომანოვი, ჟიკი პირების ჩაგონებით, უმეყოფილო დარბაზს, რადგანაც აღნიშნულ ეკლესიაში რვეიზიის მოხონა დავაპირე, და შემდეგ თვითონ დანდოს მსჯავრი, თუ ვის გაუწევია უსამართლო დაბეზლება და ცილის წამება: ბლალოჩინს ვეფხვა-


ქეს, თუ დარბისელ ხუცესს: „20 июля 1912 г. Благочинный на то и благочинный, что имѣть право ревизовать все церкви Епархіальной вѣдомства его округа и это нисколько ни манкируетъ ни завѣдывающаго школою, ни священника-учителя“ და სხვა.

ბლალოჩინი დეკანოზი ე. ვეფხვაძე.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მგვლიჩიძე
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

სალა სინათლეა

იამ სინათლეა



იულიუს საარეკ

მოიჯარადრე ქუთ. ქალ. ქუჩ. ნავთით

—x: გუნდთმბისა :x—

და

მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ქუთ. და ბათომის მასრისა ამ მშენიერ სანგძლივ ფარნებისა

იგა ი. ნ.

უფროსილით მიმსგავსებას

მისამართი ლექსნდრეს ქუჩა, თეოდორძის სახლი.

ტელეფონი № 18.

